უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 აპრილი 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ივანნა
გვარი - მაჩიტიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	პოლიტიკის მეცნიერება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 6
4	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Arts in Political Science
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	0312
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1, 8, თსუ-ს კორპუსი I, IV.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 17.01.2022, N 32530

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	27.12.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	27.12.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	27.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

2.2 რეკომენდებულია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები.

2.3 რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გამდიდრდეს ქართულენოვანი ლიტერატურა, სწავლების ენიდან გამომდინარე და ასევე სამართლებრივი საკითხების მომცვლელ სასწავლო კურსებში მითითებული იყოს უახლესი იურიდიული ლიტერატურა და მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

2.6. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში, გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა. ასევე დაზუსტდეს შეფასების მეთოდები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

დასკვნის შესადგენად ანგარიში წარდგენილი იქნა

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 27 დეკემბრამდე). მეორე სტანდარტის გარდა 5 სტანდარტიდან ყველა შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი - როგორც მეტწილად შესაბამისობაში.

საგანმანათლებლო პროგრამაში გაცემული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით მხარდამჭერმა კომიტეტმა დაგეგმა რიგი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში იყო ჩართული როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, პოტენციური და არსებული დამსაქმებლები. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, ცვლილებები განხილული და დადასტურებული იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე

მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში და სილაბუსებში.

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

3.1 უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაღრმავდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობები, რათა სტუდენტებს მიეცეთ საკუთრი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.

4.3 სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები, რის შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რათა მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების სწორი პრიორიტეზაცია. აკრედიტაციის საბჭოს რჩევები სრულიად გათვალისწინებული იქნება მათი განხორციელებეის შემდგომ.

დამატებითი ინფორმაცია[10]

ქვემოთ აღნიშნული აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გარდა, საჭიროა შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც ეხება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას. შესაბამისად, რეკომენდებულია ინგლისურენოვანი სახელწოდება მოერგოს კვალიფიკაციის ქართულენოვან სახელწოდებას და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: Bachelor of Political Science.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება** **პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

კომპონენტის დასახელება[13]	**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა’’. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები’’.
შეფასება	**შესრულებულია.** პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ (5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი) გახდა სავალდებულო. შესაბამისად, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა გაიზარდა 65 კრედიტამდე, არჩევითი კომპონენტის მოცულობა გახდა 55 კრედიტი. ხაზგასასმელია, რომ ეს ცვლილება ამოქმედდება 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრიდან. ასევე გათვალისწინებულია რეკომენდაცია რიგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების შესახებ, კერძოდ: სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ გახდა შემდეგი სპეციალობის სავალადებულო სასწავლო კურსების წინაპირობა: „მსოფლიო პოლიტიკა“ (სავალდებულო), „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ (სავალდებულო), „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“ (არჩევითი), „დემოკრატიზაცია და ტრანზიცია“ (არჩევითი), „პოლიტიკური კულტურა“ (არჩევითი), „სამოქალაქო საზოგადოება“ (არჩევითი). სასწავლო კურსი „შედარებითი პოლიტიკა“ გახდა „კავკასიის შედარებითი პოლიტიკის“ არჩევითი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობა. აღნიშნული ცვლილებები დამტკიცდა 19 დეკემბრის 2022 წლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.
მტკიცებულებ(ები)ა	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გამდიდრდეს ქართულენოვანი ლიტერატურა, სწავლების ენიდან გამომდინარე და ასევე სამართლებრივი საკითხების მომცველ სასწავლო კურსებში მითითებული იყოს უახლესი იურიდიული ლიტერატურა და მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (19.12.2022). ქართულენოვანი ლიტერატურის წყაროები დამატებულია ისეთი სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა 'საქართველოს პოლიტიკური სისტემა", „ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში". აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში საკვანძო მასალებს დაემატა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 2021 წლის თარგმანი, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგი ბმულის მიხედვით: https://echr.coe.int/Documents/Convention_Instrument_KAT.pdf „საქართველოს პოლიტიკური სისტემის" სავალადებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში საკვანძო მასალებს დაემატა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. საკანონმდებლო აქტების კრებული (2020 წლის).
მტკიცებულებ(ები)ა	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში, გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა. ასევე დაზუსტდეს შეფასების მეთოდები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
შეფასება	**შესრულებულია.** უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტანახმად, რეკომენდაციის შესრულების მიზნით ფაკულტეტის საბჭოზე მოხდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმში დასწრება-აქტივობის ქულების შესახებ საკითხის განხილვა. ფაკულტეტის დეკანმა წარადგინა მოხსენება - დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს

	აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. შედეგად გადაწყვეტილება მიღებული იქნა, ფაკულტეტის კურიკულიუმში ცვლილებების განხორციელების შესახებ, რათა ყველა სილაბუსში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის ქულებს.
მტკიცებულებ(ები)ა	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; ფაკულტეტის საბჭოს ოქმი (2022 წლის 18 იანვარი)

სტანდარტის დასახელება	**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
კომპონენტის დასახელება	**3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**
რჩევა I	უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაღრმავდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობები, რათა სტუდენტებს მიეცეთ საკუთრი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
შეფასება	**შესრულების პროცესშია.** შესაბამისი ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის მიერ. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ჩართულია კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პროცესში.
მტკიცებულებ(ები)ა	პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ანგარიში

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება	**4.3. მატერიალური რესურსი**
რჩევა II	სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სწასწავლო მასალებით.
შეფასება	**გათვალისწინებულია.** რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის მიხედვით, ელექტრონული მასალების პორტალზე მუდმივად და სისტემატიურად ატვირთვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მხრივ.
მტკიცებულებ(ები)ა	პორტალი e-lerning.tsu.ge

თანდართული დოკუმენტაცია[15]

1) პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
2) პროგრამის სილაბუსების სრული პაკეტი;
3) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები (18.01.2022; 19.12.2022).

ექსპერტის ხელმოწერა

[15] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა